ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 08.11.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 019/23

შეკითხვა:

სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატი იცავს ბრალდებულს. ბრალდებულმა მიიღო ინსულტი, ის იმყოფება მწოლიარე რეჟიმში, არ არის კონტაქტური, წართმეული აქვს მარჯვენა ხელ-ფეხი, არ შეუძლია რომ გამოხატოს საკუთარი ნება, გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი და სასამართლომ მას დაუნიშნა მხარდამჭერი.

მხარდამჭერმა განცხადებით მიმართა იურიდიული დახმარების სამსახურს და ითხოვა სახაზინო ადვოკატის დანიშვნა, თუმცა მას განუმარტეს, რომ განცხადებაში მითითებული არ არის „სისხლის სამართლის კოლეგია“ და ეს ხარვეზი უნდა გამოსწორდეს, რათა მოხდეს სახაზინო ადვოკატის დანიშვნა, ასევე ადვოკატის ინფორმაციით, მხარდამჭერი 10 დღით მიემგზავრება საზღვარგარეთ და ადვოკატი ვერ შეძლებს მასთან დაკავშირებას აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.

ასეთ შემთხვევაში რა უნდა მოიმოქმედოს ადვოკატმა? უნდა განაგრძოს მან კლიენტის ინტერესების დაცვა?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 მუხლის თანახმად: *„ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში“*.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.7 მუხლის თანახმად: *„ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით“.*

ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვიდან ირკვევა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულმა მხარდამჭერმა განცხადებით მიმართა იურიდიული დახმარების სამსახურს და ითხოვა სახაზინო ადვოკატის დანიშვნა, თუმცა იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ არ მოხდა განცხადების დაკმაყოფილება, შესაბამისად ადვოკატის კლიენტს, რომელსაც დაენიშნა მხარდამჭერი სასამართლოს მიერ, ამ მომენტში, არ ჰყავს სახაზინო ადვოკატი და მის ინტერესებს კვლავ ადვოკატი იცავს.

შეკითხვიდან არ ჩანს, რომ მხარდამჭერის მიერ მოხდა კლიენტ-ადვოკატს შორის არსებული მინდობილობის გაუქმება, ასევე არ ჩანს, რომ მხარდამჭერმა ადვოკატს უარი უთხრა იმის თაობაზე, რომ მან დაიცვას მხარდამჭერის მიმღების ინტერესები. სასამართლოს მიერ

დანიშნული მხარდამჭერი წარმოადგენს კლიენტის უფლებამოსილ წარმომადგენელს, შესაბამისად ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება, რომ იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად.

ზოგადად, ადვოკატს აქვს უფლება, რომ ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ადვოკატს აღნიშნული უფლება ეზღუდება, კერძოდ კი, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმამ შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს მისი კლიენტის ინტერესები, რადგანაც შესაძლოა, რომ სახაზინო ადვოკატის დანიშვნის პროცედურა გაიწელოს, შესაბამისად თუ ასეთ დროს ადვოკატი უარს იტყვის საქმეზე შესაძლოა კლიენტი დარჩეს კვლაფიციური ადვოკატის მომსახურეობის გარეშე და მან დროულად ვერ ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით.

დასკვნა:

ადვოკატმა უნდა იმოქმედოს მხარდამჭერის მითითებების თანახმად, რომელიც ამ შემთხვევავში წარმოადგენს კლიენტის უფლებამოსილ წარმომადგენელს, უნდა განაგრძოს კლიენტის ინტერესების დაცვა, სანამ არ მოხდება სახაზინო ადვოკატის დანიშვნა და არ ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით, რადგანაც ამან შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს კლიენტის ინტერესები.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.